წელიწადი I-ლი

# ბათომის ფურცელი

პარასკევი 5 ნოემბერი

ფასი 15 მან.

გაზეთი ღირს თვიურა; . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შაბათს-კვირაში 10 საათ. სალ. 3ს.

№ 47 — ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 47

## ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

სამშაბათს, 2 ნოემბერიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

იუავ დაწყევლილი **სილამაზევ!**

დრამა 5 ნაწ. გამოჩენილი მსახიობის მარია კარმას მონაწილეობით.

**ანონსი.** სამშაბათს 6 ნოემბრიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

მეორე მხარეზე ოცნება.

ყურადღება: ამ დღეებში **მასკა თეთრი კბილებით.**

---

ღია ჰაერზე, ახალისპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი

## „ტ რ ი უ მ ფ ი“,

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველანაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ოთხშაბათიდან, 1920 წლის 3 ოქტომბრიდან იქნება ნაჩვენები ჯერ ბათომში რომ არ ყოფილა ისეთი სურათი.

შეუმჩნეველათ ცრემლები ცვივა.

დიდი საინტერესო დრამა გამოჩენილი მსახიობების მონაწილეობით.

დასასრულ

ზედამხედველი ს ე რ ჟ ა ნ ტ ი ნ ი

მეტად სასაცილო სურათი.

ანონსი კვირიდან 7 ნოემბერს გაიხსნება საზამთრო სეზონი.

დაიდგმება გამოჩენილი სურათი იტალიური ფირმისა ა ნ ნ ა კ ა რ ე ნ ი ნ ა.

---

## პარასკევს 5 ნოემბერს

საღამოს 5 საათზე ქართული შკოლის

## შენობაში

(კამაროვის ქ. № 47).

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზ, ც. კ. წევრი

ამხ. **ევგენი წულაძე**

წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე.

მუშათა მოძრაობა ინგლისში.

მოხსენების შემოსავალი გადაიდება ადგილობრივი ორგანიზაციების კომ ტეტის სასარგებლოთ. ბილეთები 25—50 მ.

---

## განცხადება.

## ბათომის მუშათა მაღაზია

ამით აცხადებს, რომ

სამ ამა ნოემბრიდან იაფ-ფასიან სასადილოებში სადილი ეღირება 50 მანეთი ნაცვლად 60-სა.

3—3 მუშათა მაღაზია.

---

## შემაევსკის თეატრი

| სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე |

№ 8.

შაბათი 6 ნოემბერი.

წარმოდგენილი იქნება

ტრ. რამიშვილი

1.

## საქმისწერო დამბარა

დრა 4 მოქ.

2.

ივ. გომართელი.

## იასონის ლინები.

კომ. 2 მოქ.

რეჟისორი ივ. ბარველი.

მონაწილეობენ: აბაკელია ჰ., აფხაიძე მ. ბარველი ივ., ბარათაშვილი ივ., ბერძენიშვილი შ., ვადაჭკორია ს., ინასარიძე ნ., მდივანი მ, მაღალაშვილი გ. მარგველაშვილი ვ., ძნელაძე დ, ლამბაშიძე შ., ხარაბაძე დ. ადგილების ფასი ჩვეულ. ბრივია დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 10 ნოემბერს მზად დება სით ქანტურიშვილის „ბ უ რ უ ს ი“.

სახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

---

## განცხადება

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ქალაქის საწყობში (ნურია) იყიდება

ყარაჩაის ცხვრის ხორცი 120 მ. გირვანქა.

და დუმა 350 მანეთად გირვანქა.

3—1 სასურსათო გამგეობა.

---

კვირას 7 ნოემბერს, დღის სრულ 3 საათზე, (კამაროვის ქუჩა 47) დანიშნულია ბათომის

ახალგაზრდა მარქს. წევრთა 1, 2, და 3 რაიონ.

## საზოგადო კრება.

დღიური წესრიგი: 1. მოხსენება მომენტზე. 2. კომიტეტის მოხსენება. 3. პარტიული მუშაობა. 4. მიმდინარე კითხვები.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგან. კომიტეტი

---

ოლღას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

## გაიხსნა

## ლ ო ტ ო.

საქველმოქმედო მიზნით.

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

---

## ბათუმი, 5 ნოემბერი.

სერიოზული შეიქმნა მომენტი. ქემალისტებმა ყარსი აიღო და სომხეთის გულზე მოაბიჯებს.

საქართველო ბუნდოვან მდგომარეობაშია, არ ვიცით რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. გარდა იმისა რომ გულს გვიკლავს მარცხი სომხეთისა, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ელემენტისა, ჩვენ გვაფიქრებს ბედი ჩვენი, რა მოგველის ამ დღეებში? ამ მშფოთვარე კითხვით არის დღეს შეპყრობილი საზოგადოებრივი განწყობილება. შეგვეხებიან თუ არა ჩვენ წითელი და შავი რეაქციონერები, კულტურისა და პროგრესის ცხეში მტრები?

რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ დღეს გვჭირდება გონების სიმახვილე, პოლიტიკის ხერხიანობა და შორს მჭვრეტელობა. ძალთა მომარაგება, ძალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ.
ახლად გამოშვებული 10 და 20 ტის.
პაპიროსები „გლორია“
ფრანგული საქციონერო საზოგადოების „ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“
ბინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.

დარაზმვა, ძალთა შეკავშირება არის მომენტის უდიდესი საჭიროებათაგანი და ყველა ჯგუფების და მიმართულებათა გაერთიანებული მოქმედება არის ამ ვითარების კარნახი.

ქართველი დემოკრატია, მშრომელი საქართველო, ჯარი და გვარდია თუ გარემოებამ მოითხოვა ჩვეულებისამებრ თავის ქვეყნის თავისუფლებისთვის თავს გასწირავს იგი დაიცავს სამშობლოს, იგი დაიფარავს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ერთსულოვნება და მუშაობის კოორდინაცია უნდა მოვთხოვოთ დღეს თავს.

განსაკუთრებით ბათომში გვევალება ჩვენ ამ მცნების წმინდათ შესრულება. ბათომი ფათერაკია ქართულ ცხოვრების, ყარსის ამბები ბევრ ავანტიურისტს შაკ გულს გაულვიძებს, რის გამოც ქვეყნის ყველა კეთილ-მდომეთ, მხარის ერთგულ შვილთ, ახლა ერთი აზრი უნდა ჰქონდეთ: მხარის დახსნა ყოველ-გვარ არევ-დარევა—ავანტიურისგან და დედა სახელმწიფოსთან მტკიცე ერთობით მისი საბოლოო ბედნიერებისკენ წაყვანა.

## სომხეთის უბედურება და ჩვენ.

ყარსი დაეცა!.. ქემალის ლაშქარი სომხეთში შეიჭრა და წინ მიდის. ღრმავდება სომხეთის უბედურება, ფართოვდება ამ მუდმივ ტანჯვისთვის გამეტებულ ხალხის ტრაღედია.

გვეცლებიან სახელმწიფოებრივი მეზობლები, გვილალატა აზერბეიჯანმა, მუხთალის ხელით ემხობა სომხეთი. ჩვენ მარტო ვრჩებით რუსულ ოსმალურ (ქემალურ) ქარცეცხლის წინაშე.

ჩვენ ყოველთვის საკუთარ ბედის ანაბარად ვიყავით და დღესაც ნუ გვექნება იმედი გარეშესი—იმედი სხვისი. ტრაღიკულია ჩვენი ყოფა ასეთი მეზობლების გადამკიდე. რა უნდა ქმნას მცირე ერმა, რომელსაც გარშემო მტრები ახვევია. მაგრამ რას ვიქმთ, ჩვენი ბედი ასეთი იყო დასაბამიდან და დამოუკიდებლობის აღდგენიდანვე ასეთივეა.

მშრომელ ხალხს ერთი ვერ მოუსვენია. სახელმწიფოებრივ შემოქმედ ძალებს მეთოდიურ მუშაობისთვის ვერ მიუცია თავი, რიგ რიგობით წამოიჭრებიან ჩვენს წინაშე საფრთხე-ხიფათი და ჩვენ იძულებული ვართ მთელი ძალღონე ქვეყნის თავისუფლების, ერის თვით მყოფობის დაცვისთვის ვხარჯოთ. რა პოლიტიკაც არ უნდა ჰქონდეს მოსკოვს, რა ლოიალურიც არ უნდა იყოს მოსკოვის დესპანის განცხადებანი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომ საფრთხე ჩვენ ახლოსაა. რიგი საქართველოზე მიდგა. კავკასიაში მარტო საქართველო დარჩა სახელმწიფოებრივი ქვეყანა, რომლის დამხობას ექ. არაა შეცდებიან ახლად ნაქორწინევი მოსკოვ არზრუმის იმპერიალისტები, მაგრამ საქართველო იშვიათი და განსაკუთრებული ქვეყანაა, თვითარსებობისთვის ბრძოლის დროს საქართველოს დემოკრატია დღეს ყველა ძალებს მოიკრებს, კბილიდან ფეხებამდე დაირაზმება და ქვეყნის სადაროჯოზე, თავისუფლების წმინდა სამსხვერპლოზე, სიხარულით დადგება! ნურავის ეადვილება გატეხა საქართველოსი, საქართველოს ხალხი ფოლადის ნების ყოფილა, ის ხელის წამოკვრას დამცირებას არასოდეს ითმენდა, ხოლო რაც შეეხება თავისუფლებისთვის ბრძოლას აქ ნამდვილი რაინდია, საძაგალითო ელემენტია... და ნუ ისურვებენ მტრები ჩვენზე თავდასხმას..

შინ ჩვენ უნდა შევუდგეთ სასწრაფოდ ინტენსიურ თადარიგს, სიმაგრე და სისალე შევიტანოთ ყველგან, ზვერვის თვალით გარდავხედოთ მთელ რესპუბლიკას: მტრები არსად აფარებდენ თავს, შიგნით გავსალკდევდეთ და გარეშე მტერი გერას დაგვაკლებს. კარგად მოუაროთ იმას, ვინც სახელმწიფოსთვის მუშაობს. სასაზღვრო ადგილებში მივიღოთ ყველა ის ზომები, რომლებიც აუცილებელია იქ სიმაგრისთვის. ყველამ პასუხი ვაგოთ ქვეყნის წინაშე ჩვენ მოქმედებაში და ერთმა მრწამსმა—ერის სიყვარულმა გაგვაერთიანოს მოსალოდნელ განსაცდელის წინაშე.

ყველაზე პასუხისმგებელი ადგილი რესპუბლიკისათვის დღეს ბათომის ოლქია. ქართველ მაჰმადიანს დღეს ბევრი ცბიერი და გაიძვერა ჩასძახებს დედა საქართველოს ზურგი შეაქციოს და ამ მართულებით უნდა გავსწიოთ ჩვენ ძნელი მუშაობა რათა აქ დაცულ იქმნას წმიდა ერთობა დედა-საქართველოსთან. და ახალი წამება ავაშოროთ ხალხს.

ადგილობრივმა ყველა შემოქმედმა ძალებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

ამ კითხვას ჩვენ ისევ დაუბრუნდებით.

ი. დიდიძე.

## სადღეისო შენიშვნები.

### ჩვენი მოვალეობა.

პარტიული თათბირი დამთავრდა. მმართველ პარტიას, რომელიც ერის დიდი უმრავლესობის ნდობით არის აღჭურვილი, არ შეეძლო მძიმე ეკონომიური კრიზისისათვის უდიდესი ყურადღება არ მიექცია. საქართველოს ეკონომიურათ გაღონიერებაზე დამოკიდებული, შეინარჩუნებს ჩვენი დემოკრატია პოლიტიკურ ბატონობას თუ არა. რევოლიუციონურ ქარტეხილის პროცესში შესაძლებელია რომელიმე კლასმა პოლიტიკური ძალა-უფლება მოიპოვოს. ამ მოპოვებულ ძალა-უფლების შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ გაბატონდება ეს კლასი ეკონომიურად. საქ. სოც. დემოკრატია მუშათა პარტია არის, ის მიდის დემოკრატიის გზით, ხალხის უმრავლესობას ეყრდნობა, ამ დროს ჩვენი ბურჟუაზია უსუსურია და მიუხედავათ თავის პატრიოტულ ფრაზეოლოგიისა სპეკულიაციაში ჩაება, ნაკლებათ ფიქრობს შინა მრეწველობაში თავის კაპიტალის დაბანდვაზე, ჯერ კიდევ ნორჩია და უკვე პარაზიტობა დაიწყო. ყველა ეს გარემოება მეტად პასუხისმგებელ როლს აკისრებს მმართველ პარტიას, უდიდეს პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მას. მმართველი პარტიის ხელმძღვანელ წრეებში არის ეს შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა.

პარტიულმა თათბირმა გამოიმუშავა ზოგიერთი ღონისძიებანი. მაგრამ მარტო ღონისძიებათა გამომუშავება როდია საკმაო, საჭიროა მათი განაღდება, ცხოვრებაში გატარება. მაგრამ ამას კი სავსებით მივაღწევთ მაშინ, თუ ყველანი მომენტის სირთულის სიმაღლეზე დავდგებით და იმ პასუხისმგებლობის გრძნობით, რომელსაც ცენტრი გრძნობს, ჩვენც გავიმსჭვალებით. ყველაფერი რაც კეთდება ხალხისთვის კეთდება, ხალხს კი თვითოეული ჩვენგანი შეადგენს. მეტი სერიოზულობა, მეტი სიფრთხილე, მეტი ენერგიულობა და გარჯილობა გვჭირია დღეს ყველას.

მთავრობამ თავის მხრივ უნდა მიიღოს ზომები თათბირის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ჩვენ ამ წერილში არ შევუდგებით დადგენილებათა განხილვას, მაგრამ მივაქცევთ ყურადღებას ერთ მუხლს: ეს გახლავთ მთავრობის, ერობათა და თვითმართველობათა უფლებების გამიჯვნა. ეს რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოხდეს. კარგია დემოკრატიზმი, მაგრამ გადაჭარბებული ყველაფერი გვავნებს. თუ პოლიტიკური დეცენტრალიზაცია სასარგებლოა ზოგიერთ შემთხვევებში, ეკონომიური დეცენტრალიზაცია ყოველ შემთხვევაში მავნებელია. ევროპაში ჩვენ ახლა ვამჩნევთ ეკონომიურ ცენტრალიზმისადმი ლტოლვას. თუ ეს ასე ხდება ევროპის მასშტაბში, ეს მით უფრო საჭიროა პატარა საქართველოში, სადაც ყოველივე კაპეიკი, ყოველივე ღირებულება მათ თუ იმ სახით გადებული, საერთო ეკონომიურ გეგმას უნდა უწყობდეს ხელს. ჩვენმა ერობებმა და თვითმართველობებმა ბევრ ახალ საქმეს მოჰკიდეს ხელი, ყველა ამ დაწყებულ საქმეებზე რესპუბლიკის სალაროდან ...ლებული თანხები იხარჯება, მაგრამ რეალურ, დღიურ სარგებლობას შეიძლება მხოლოდ ნახევარი იძლეოდეს. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას დაწყებულ საქმეების რაოდენობას კი არ უნდა ვაქცევდეთ, არამედ იმას, თუ რამდენი მათგანი იძლევა რეალურ ნაყოფს. ზოგიერთი საქმეები, რომელზედაც საკმაო თანხა დაიხარჯა, შეჩერებულია საჭირო სამუშაო იარაღების ან ზოგიერთ მანქანების და მასალების უქონლობის გამო, ზოგიერთების გაკეთება ისე ჭიანურდება როგორც მიწერ-მოწერა ძველ ბიუროკრატიულ კანცელარიებში (თუმცა ეს სენი ჩვენ არ აგვიცილებია). ყოველი ასე წინდაუხედავათ წინასწარ დაუკვირვებლათ გაწეული ხარჯები, უფრო აძლიერებენ საერთო აწეწ-დაწეწას, ადიდებენ ბაზარზე ქაღალდის ფულის რაოდენობას. ყველა საქმის დაწყებისას გათვალისწინებული უნდა იქნას: გვაქვს თუ არა ხელთ საქმისათვის საჭირო თანხა, მანქანები, (თუ ის საჭიროა), მასალა, ხე-ტყე და სპეციალისტები. ყოველივე ასეთი საქმის დაწყება მთავრობის კონტროლის ქვეშ უნდა ხდებოდეს, მთავრობის წარმომადგენელი ადგილობრივ უნდა ეცნობოდეს ყოველივეს და მთავრობამ შემდეგ უნდა გაიღოს საჭირო კრედიტები.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ „კარანტინებს“ და „საბჭოებს“, რომელზედაც ამას წინათ „ერთობა“ ლაპარაკობდა თავ... მოწინავეში.

კარგია უფლებები, დემოკრატი...მა, მაგრამ ყველა ეს ისე უნ... გამოვიყენოთ, რომ სახელმწიფო... სახელმწიფოები არ დარჩ...ს.

## კულტურული ცხოვრება ბათომში.

ბათომს დიდათ ეჩნევა სპეკულ... ტიური დუღილი, სამაგიეროდ მ... დუმებულია კულტურული ცხოვრებ... ბათომის დემოკრატიას ბევრი რ... აქვს მოსაგვარებელი ინგლისელებ... შემდეგ დარჩენილ მემკვიდრეობ...დან. მაგრამ დროა კულტურუ... ცხოვრებასაც მიექცეს ყურადღე... დღეს დემოკრატიის ფართე წრე... ადგილი არა აქვს სად შეიკრიბო... არ არის ხელმისაწვდომი სამკით... ველო, მუშათა კლუბი, სადაც მ... შაობის შემდეგ დაისვენებს და თ... შესძლებს გაიგოს რა ხდება მის გა... შემო, თავის ამხანაგებს თავის ჭი... ვარამს გაუზიარებს.

დროა ამ გარემოებას სათანად... ყურადღება მიექცეს.

კულტურული მუშაობის დაწყ... დღის წესრიგში უნდა დაი ვას.

არ არის საჭირო ამისათვის მა... ტო ერთი რომელიმე ორგანიზაცი... დაწყება. ყველა დემოკრატიუ... ორგანიზაციების და პარტიების ... ლია ამ საქმის მოგვარება. დაჩქა... რებით ამ საქმის მოწყობა აუც... ლებელია დღევანდელ მომენტში, როცა ჩვენი დემოკრატია პოლიტ... კურად ბატონობს. დემოკრატი... დღეს სჭირია შეგნება, აზროვნებ... ჰორიზონტის გაშლა-გაფართოვებ...

იმედია ბათომის დემოკრატიულ... ორგანიზაციები ამ კითხვას ჯეროვ... ყურადღებას მიაქცევენ.

ე. წ—ძე.

## რადიო.

### ირლანდიაში.

ქ. კორკის ლორდმერის სიკვდ...ლმა დიდი აღელვება გამოიწვია ირ... ლანდიელ რევოლიუციონერებ... ბევრ ადგილებში პოლიციელებთა... შეტაკება ხდება, ბელფასტში შეტა... კების დროს არის მოკლულები და მრავალი დაჭრილი. დუბლინში ბარი... კადებია გამართული.

„დეილი გერალდი“ სწერს, რო... კორკის ლორდ-მერმა უკვდავი სა... ხელი მოიხვეჭა, მაგრამ მის მკვლე... ლებს ჯერ სამაგიერო არ მოუმკიათ... გაზეთი მოუწოდებს ინგლისის საზო... გადოებას ძალადობის, გამყიდველო... ბის და კონსტიტუციის დამრღვ... მთავრობის დამხობისაკენ.

მოქმედების საბჭოს ადგილობრ...მა სექციებმა ინგლისის სხვა და სხვ... კუთხეებში მიტინგები გამართ... საბჭოთა მთავრობის შესახებ. მიტინ... გებზე აკრიტიკებდენ ინგლის... მთავრობის პოლიტიკას და მოით... ხოვდენ საბჭ. რუსეთთან ეკონომიუ... რი და დიპლომატიური ურთიერ... თობის აღდგენას

### პროფ. კავშირების კონფერენცია.

მოსკოვში გახსნილ პროფ. კა... შირთა მეხუთე კონფერენციას მი... სალმა კალინინი, ზინოვიევი და ტო... სკი. ტომსკიმ თავის სიტყვაში ა...

ნიშნა, რომ პოლონეთთან ზავის შეკვრის შემდეგ. წითელი ჯარების შეტევა სამხრეთის ფრონტზე წარმატებით ვითარდება, რაც საშუალებას მისცემს საბჭოთა მთავრობას მხარის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ იზრუნოს.

ყირიმის ფრონტზე.

ყირიმის ფრონტზე წითელი ნაწილები წინ მიიწევენ. ვრანგელის ჯარები ყირიმის ნახევარ კუნძულისაკენ იხევენ.

## ყარსის დაცემა.

ბათომში მიღებულ ცნობების თანახმად ყარსის სიმაგრე დაეცა და სომხეთის ჯარი ბრძოლით იხევს გუმბრისკენ (ალექსანდროპოლისკენ).

## ქრონიკა.

3 ნოემბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 37 უმუშევარი, კვლავ ჩაეწერა 2 უმუშევარი.

პარასკევს 5 ნოემბერს საღამოს 5 საათზე ქართული შკოლის შენობაში ადგილობრივ მარქსისტთა ორგანიზაციების კომიტეტის საშვალებათა გასაძლიერებლად საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრ. კომიტეტის წევრი ე. წულაძე წაიკითხავს მოხსენება შემდეგ თემაზე: მუშათა მოძრაობა ინგლისში.

კვირას 7 ნოემბერს საღამოს 3 საათზე ქართული შკოლის შენობაში (კომაროვის ქ. № 47) დანიშნულია ბათომის ახალგაზრდა მარქსისტთა 1, 2 და 3—მე რაიონის ორგანიზაციების წევრთა საზოგადო კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

ბათომის ნავთსადგურში 1 ნოემბერს შემოსულა იტალიის გემი „აბაცია" რომელსაც მოუტანია 33 ტონი საქონელი. გემი წავა ფოთში.

ნავთსადგურში დაუკავებიათ ბათომის სასამართლოს ბოქაულის თხოვნით გემი „პეტრე-დიდი" რომელიც ეკუთნის მოქ. პლეხაცკის, მაგრამ საბჭოთა რუსეთის კონსული ზვერევი თხოვს საგანგებო კომისარს გემი დაკავებულ იქნას გადაცეს გემი საბჭოთა მთავრობას, რადგან როდესაც გემი ნოვოროსისკში იდგა მაშინ საბჭოთა მთავრობას გემების ნაციონალიზაცია გამოუცხადებია.

ქალაქის საავათმყოფოში 4 ოქტომბერს იყვნენ მოთავსებული 98 ავათმყოფი ამათში: შებრუნებული ტიფით 6, ყვავილით 7.

თანახმად მილიციის უფროსის განკარგულებისა დატუსაღებულ იქნენ სავჩენკო, ბლოჟნიკოვი და ბარნოვი, რომელთაც ბრალი ედებათ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევაში.

პატიმარ იუსუფ მემიშ ოღლის, რომელსაც სამხედრო საველე სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა, საგანგებო კომისარმა სასჯელი შეუცვალა 25 წლის კატორღით.

კომისიამ სურვილი გამოსთქვა აშენდეს რძის გამყიდველთათვის ცალკე ფარდული და მოწესრიგდეს რძის გაყიდვა.

17 ოქტომბერს მცხოვ. სოფ. ბარცხანაში, შარაშიძის სახლში ბათომის საბარგო სადგურის მოსამსახურე ფილიპე გრიგოლისძე მელიქიძე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი გვამი დიდი ძებნის შემდეგ 31 ოქტ. კინტრიშის რაიონის კომის. თანაშემწე ჩიქოვანს უპოვნია სოფ. ბარცხანაშივე ცახე-სიმაგრის ახლო. დაკარგულის მხოლოდ ძვლები და ტანისამოსი უნახავთ რომელიც უცვნია მხოლოდ მშობლებს.

3 ნოემბერს სააღგილო-მამულო იურიდიულ და ფინანსიურ კომისიებ-ს სხდ-მამ უარი უთხრა ნურიის გაუქმებულ ბაზარში მოვაჭრეებს თხოვნაზე, რომ მათ შეუმცირონ საიჯარო გადასახადი, ვინაიდან კომისიის აზრით ნურიაში წარმოებულ ვაჭრობას ეს გადასახადები სავსებით შეეფერება და სამძიმო არ არის.

## უკანასკნელი საათი.

### სომხეთში

სომხეთის გენერალური კონსული ბ-ნი ათაბეგიან 3 ნოემბერს პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ერივანს. ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ყარსის გარშემო ოთხი დღის განმავლობაში მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა მტერის მრავალ-რიცხოვანობის გამო სომხეთის ჯარები ალექსანდროპოლის მიმართულებით იხევენ.

იგდირის ფრონტზე ოსმალთა ჯარებს უკანასკნელ დამარცხების შემდეგ შეტევა არ განუახლებიათ

სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

## მუშათა ჯამაგირების საკითხი.

ოქტომბრის 31 მოხდა საქართველოს რესპუბლიკის კავშირების სეკრეტარიატის სხდომა მოქალაქე გორგაძის თავმჯდომარეობით. იმსჯელეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოხსენება წაიკითხა მოქ. ლაქე ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კავშირები ზონებით ჯამაგირების მომატების კატეგორიულად წინააღმდეგი არიან და საჭიროთ მიაჩნიათ პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდებით იქნას მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესებული. კავშირები პირველი ყოვლისა პურის რაციონის გადიდებას მოითხოვენ. მთელ რიგ ორატორებმა და მტკიცეს ჯამაგირის მომატების უშედეგობა. სხდომაზე დამსწრე შრომის მინისტრის ამხანაგმა ბახტაძემ გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, თუ რის მიცემა შეუძლია ახლობელ დროში მუშათა და მოსამსახურეებისათვის მუშათა მაგიდას. უმთავრესი ყურადღება მუშებს და მოსამსახურეების პურით უზრუნველყოფას აქვს მიქცეული. ეს ძნელი საქმეა, ვინაიდან უცხოეთი პურს არავის აძლევს და შინ გლეხები არ ჰყიდიან ხორბალს. სამინისტრო ყოველ ღონეს ღებულობს პურის მოსამარაგებლად და იმედი აქვს ამ მოკლე ხანში პურის ულუფის 1 ნახევ. გირ. გადიდებისა. მიღებულია ზომები ნახშირის. შეშის და ფართლეულობის მოსამარაგებლად. შეშის დამზადება ბრკოლდება მუშა ხელის სიმცირის გამო და ამიტომ მუშათა ორგანიზაციები უნდა დაგვეხმარონ ამ საქმეში შობამდი 1-8 საჟენი. შეშის დარიგება მოხდება. მოკლე ხანში დარიგდება სულზე ფუთი ნავთი. მიღებულია ზომები რომ მანუფაქტურა თანაბრად და რეგულიარულად რიგდებოდეს. მანუფაქტურა საკმაო არ არის და რაც არის მას გადასაცვლელ საქონლად ვიყენებთ. მუშათა მაგიდა დიდ დეფიციტს ნახულობს პურის საქმეში.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათის დროს ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ერთნი წინააღმდეგნი მომატების და მოითხოვდნენ სურსათს ორატორები აღნიშნავენ, რომ მუშათა მდგომარეობა მეტად მძიმეა, მაგრამ მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებითო. მოითხოვდენ მრეწველობის განსავითარებლად ზომების მიღებას. კონკრეტიულად საჭიროდ იცნეს: მუშათათვის საყასბოების მოწყობა, კოოპერატივებისთვის სესხის მიცემა სურსათის შესასყიდათ და მუშათა რაზმების მოწყობა შეშის დასამზადებლად. კამათის შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ცენტრ. საბჭ. ოლქ. კომ. და სეკრეტარიატის გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა მუშათა ეკონომიური მდგომარეობა და დაადგინეს: დღევანდელ ეკონომიურ პირობებში ჯამაგირების მომატება უმიზნოა. უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება მუშებისათვის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ აღნიშნული ზომები 10 დღეში არ იქნა განხორციელებული ეს საკითხები კვლავ დაისვას განსახილველად. თათბირს საჭიროდ მიაჩნია მიეცეს მუშათა კოოპერატივებს სესხი სურსათის სასყიდლათ. ბოლოს აირჩიეს კომისია აღნიშნულ ზომების განსახორციელებლად.

## ცნობები ტრაპიზონიდან.

(საკ. კორესპ.)

— აქ ხმა ვრცელდება, რომ შავი ზღვის ნაპირებთან (ნოვოროსიის რაიონი) ქემალისტებს ამას წინად ერთი გემი იარაღი, ფული და რამდენიმე ბოლშევიკი მიუღიათ.

## სააქციზო გადასახადთა შეცვლა.

საერთო სამრეწველო პალატამ ოქტომბრის 27 სხდომაზე ფინანსთა მინისტრის საბჭოს და ეგენილებმის

## ანატოლიაში.

დღემდე ჩვენ მკითხველებს და საერთოდ ამიერ კავკასიაში მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ქონდათ ანატოლიაზე და იმ მდგომარეობაზე, რომელიც იქ, ქემალ-ფაშას სამფლობელობში არის შექმნილი, ამ ჟამად ჩვენ საშვალება გვაქვს ნაცვლად იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებისა, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო, მივაწოდოთ მკითხველებს ერთი მთლიანი სურათი ანატოლიის ცხოვრებისა.

მოგვყავს გაზ. „ვოლნი გორეცში" მოთავსებული კორესპონდენცია ანატოლიის შესახებ ცოტაოდენის შემოკლებით.

ძალაუფლება ანატოლიაში უპყრია ანატოლიის დიდ ნაციონალურ კრებას, რომელიც მოქმედობს მთავრობის საშვალებით. (ნაციონალური კრება თურქულად იწოდება— ბეიუქ მილიატ მეჯილისი ხუქუმეთი). ნაც. კრებას თავმჯდომარეობს მუსტაფა ქემალი, რომელიც იმავ დროს მთავრობის თავმჯდომარეც არის. კრებაში შედიან დეპუტატები ხუთ ხუთი თითეულ სანჯაკიდან, აგრეთვე დეპუტატები კონსტანტინეპოლის პარლამენტისა, რომელიც განდევნეს ანტანტის წარმომადგენლებმა, დეპუტატთა რიცხვი ამ ჟამად 250-დი აღის.

ნათელი პარტიული გადაჯგუფება არ არის, თუმცა არსებობს სამი მიმდინარეობა, რომლებათაც იყოფიან დეპუტატები.

პირველი ჯგუფია, ქემალ-ფაშას მომხრეები, ესენი დიდ უმრავლესობას შეადგენენ. თავის პროგრამას ისინი უწოდებენ ხალხოსნურს (ხალქჩილიკ) და პრაქტიკულად აყენებენ ლოზუნგს „ხაკიმიატ მილიია",—ნაციონალური ანუ ხალხოსნური მმართველობა, მათი ორგანო „ხაკიმიატ მილიია",—მთავრობის ოფიციოზიც არის.

მეორე ჯგუფს შეადგენს მიმდინარეობა „ხალხ ზიუმრასი"—მუსლიმანი სოციალისტები. მათი ბეჭდვითი ორგანოა—„ენი გიუნ"— „ახალი დღე".

მესამე ჯგუფი—იდეურათ კომუნისტებს თანაუგრძნობს, ისინი ძლიერ მცირეა. მათი ბეჭდვითი ორგანო „ენი დუნია" გამოდის ესკი-შეგირში.

ბოლშევიკები საერთოდ სარგებლობენ ანატოლიელების სიმპატიით. ბოლშევიკების ლოზუნგი ინგლისთან და საფრანგეთთან ბრძოლის შესახებ მხურვალე თანაგრძნობას პოულობენ მათში, მაგრამ ეს ბრძოლა მათ არა აქვთ წარმოდგენილი როგორც შრომის ბრძოლა კაპიტალთან, არამედ ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლა, როგორც ბრძოლა „ტყვეობაში" მყოფ ხალიფატის" განთავისუფლებლათ.

მაისის ბოლო რიცხვებში ანატოლიაში ხმები გავრცელდა, რომ ბაქოში მოდიან ბაშკირების და ყირგიზების წითელი ჯარები. ამ ცნობამ დიდი აღტაცება გამოიწვია ანატოლიაში. ნაციონალურ კრებაში სიტყვები წარმოთქვეს, რომელშიც ესალმებოდენ ბოლშევიზმს—რომელიც საშვალებას აძლევს აღმოსავლეთის და დასავლეთის თურქებს შეერთდენ

შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ ყირგიზების და ბაშკირების ჯარების მაგივრათ ბაქოში რუსები მოვიდენ, ყველა გაოცებული, და გულ-ნატკენი დარჩა

დეპუტატები ამბობდენ:

ჩვენ, თურქები არასოდეს არ ვყოფილვართ ბედნიერნი ჩვენს მოკავშირეებშიო.

თვით მუსტაფა-ქემალმა ასე გამოსთქვა თავისი აზრი ბოლშევიკების შესახებ ნაციონალური კრების 27 სექტემბრის სხდომაზე:

მე არ ვიცნობ რუსულ ბოლშევიზმს, კარგად არ მაქვს წარმოდგენილი მისი შინაარსი, მაგრამ ჩვენ ქვეყანას, რომელიც მტრებით არის შემოხვეული, არ სჭირია თავის მტვრევა იმაზე, თუ როგორი არის რწმენა ჩვენი მტრების (ინგლისელების და ფრანგების) მტრებას (ე. ი. ბოლშევიკების. მთარგმ.) ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ აღვადგინოთ ჩვენი სახელმწიფო და რამდენათ რეალურ დახმარებას ვხედავთ შეგვიძლია ვიაროთ უკიდურეს ინტერნაციონალისტებთანაც კი. რუსულ ბოლშევიზმთან შეხვედრას ჩვენ ანატოლიის გარეშე ვაპირებთ და ამიტომ ლაპარაკიც მეტია წითელი არმიის ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლის შესახებ. ამის გამო, შიში „განჯის საფრთხის" შესახებ უსაფუძვლოა.

ამავე კრებაზე ქემალ-ფაშამ განაცხადა, რომ მთავრობამ დევნა დაუწყო გაზეთ „ენი დუნიას" რომელიც საბჭოთა წყობილების შემოღებას მოითხოვს ოსმალეთში.

ბოლო დრომდე ანატოლიის გაზეთები არაფერ კარგს ბოლშევიკების შესახებ არ სწერდენ და უნდობლობით, ეპყრობოდენ გამოგცეულ აზერბაიჯანელების ნათქვამს, მაგრამ სულ რამდენიმე ხნის წინათ დიდათ გავრცელებულ ტრაპეზუნდის

თანხმად განიხილა აქციზის გადასახადის საკითხი არსებულ საბაზრო ფასებთან შეფარდებით.

სავაჭრო სამრეწველო პალატამ სხდომაზე დაადგინა შემდეგი საქციზო გადასახადები, რომლებიც დაყოფილია 5 ჯგუფათ. 1) ჯგუფზე დადგენილია 10 პროც. საქციზო გადასახადი (ჩაი—ფასი 480 მ. აქციზი 48 მ. შაქარი 6000 მ. აქციზი 600 მ.) 2) მეორე ჯგუფი 15 პროც. აქც. გადასახ. ასანთი 4.000 მ. ათას კოლოფში, აქციზი 600 მ., ნავთი 100 მ. ფუთი, აქციზი 15 მ.) 3) მესამე ჯგუფი 20 პროც. აქც. გადას. (ყურძნის ღვინო 1.000 მ. ვედრო, აქციზი 200 მ. ლუდი 750 მ. ფუთი აქციზი 150 მ., ჭაჭა და მისგან გამოხდილი სპირტი 600 აქციზი 12 მ. ყოველ გრადუსზე. 4) მეოთხე ჯგუფი 30 პროც. გადასახადი. (პაპიროსის ქაღალდი წიგნაკი 6 მან. აქციზი 1 მ. 80 კ. პაპიროზის გილზი, კოლოფი 250 ცალით 75 მ. აქციზი 22 მ. 50 კ. პურის სპირტი და პურის არაყი 100 გრადუსი აქციზი 30 მანეთი ყოველ გრადუსზე, კონიაკი და კონიაკის სპირტი 60 გრად. აქციზი 18 მან. ყოველ გრადუსზე, შამპანიური 16.000 ვედრო, ბოთლი 1.000 მ. აქციზი 300 მან. ბოთლიდან, ლიქიორები, ტკბილი ღვინოები მადერა, ხერესი და სხვ. 16000 მ. ვედრო, აქციზი 480 მ. ვედროზე. 5) მეხუთე ჯგუფი 50 პროც. აქც. გადასახ. (თუთუნი 320 მან. გირ. აქციზი 160 მან., პაპიროსი 30 მან., ათასი ცალი, აქციზი 400 მან. არაყის ნაწარმოები 8.000 მ. ვედრო აქციზი 4.000 მ. ვედროზე.) გადასახადთა გადასინჯვის დამთავრების, შემდეგ პალატამ გამოსთქვა სურვილი შეამცირონ კონიაკის სიმაგრე, როგორც ეს საზღვარ გარეთაა მიღებული 38 გრადუსამდე. ამასთან ნავე გამოითქვა სურვილი მოეხსნას ბაჟი საზღვარ გარეთ გასატან კონიაკს, ღვინოს და თუთუნს, რომ ამით ხელი შეუწყონ წარმოების დარგის განვითარებას.

სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74

კავკასიური ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ ჩოჰკებით და ბოთლობით
პურის ღვინო
„რეკორდი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.
ხილის არაყი („ჭაჭა“)
ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მაელია.

## რა უნდა აკეთონ ყუბანელებმა.*)

თუ თქვენ გაინტერესებთ ჩემი აზრი, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ ყუბანელები, რომელი მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ, მე მზად ვარ გამოვთქვა ჩემი აზრი.

ჩვენი ამოცანაა — გადავარჩინოთ ყუბანის მცხოვრებნი ფიზიკურ მოსპობისაგან და ეკონომიურად განადგურებისაგან, რაც შესაძლებელია მხოლოდ თუ ჩვენი მხარე დამოუკიდებელი იქნება. ბრძოლა ბოლშევიზმთან სრულიად რუსეთის მასშტაბით ჩვენ არ ძალგვიძს, ჩვენ საბოლოოთ გავნადგურდებით. როგორც ეს ვანდეის მცხოვრებთ დაემართათ, ჩვენ საბოლოოთ დარბეული ვიქნებით. თუ დავისახავთ სრულიად რუსეთის მიზანს, ჩვე ამით ჩავვარდებით რეაქციის კონტრ-რევოლიუციის (დენიკინებ ს, ვრანგელების და tutti quanti) ბრჭყალებში, ვინაიდან ის ამ ჟამად ერთად ერთი აქტიური ანტ ბოლშევიკური ძალაა. და ეს ძალა ყოველნაირათ ცდილობს გამოგვიყენოს, შექმნას ჩვენგან, კაზაკებიდან, თავისი ბაზისი, რადგან სხვა ბაზა ამ სოციალური კლასს არ აქვს.

როდესაც ბიუროკრატიულ-მემამულეთა და კაპიტალისტების წარმომ დგენლებთან გამოვდივართ, ამით ჩვენ ვიქნებით ნამდვილ ვანდეარ, რაც ჩვენ სრულიად არ გვსურს, ჯერ ერთი მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მაშინ უნდა დავიღუპოთ. თანამედროვე რევოლიუციონური ბრძოლა ყოფილი რუსეთის ფარგლებში სწარმოებს ორი მიმართულებით: სოციალური და ნაციონალურ ნიადაგზე. ბოლშევიკები აწარმოებენ მას მხოლოდ სოციალურ ნიადაგზე, ისე როგორც „მთლიანი და განუყოფელის“ მომხრეები. განაპირა სახელმწიფოებმა წამოაყენეს ნაციონალური ნიადაგი და იმათგან იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც შესძლეს შეათანხმება ამ ორი იდეისა (სოციალურის და ნაციონალურის), შესძლეს თავის გადარჩენა როგორც ბოლშევიკებისაგან ისე „მთლიანი და განუყოფელის“ მომხრეებისაგან, მიუხედავათ თავის სიპატარავისა და სამხედრო ძალების სიცოტავისა (ესტონელებ —1.500.000 მცხოვ. ქართველები ლატიშები). უკრაინამ წამოაყენა თითქმის მხოლოდ ნაციონალური იდეა და ამიტომ ხშირად ხდება ხან ბოლშევიკების და ხან „მთლიანი და განუყოფელის“ მომხრეების სათარეშო მოედანათ. ასევეა ჩვენშიც (ყუბანში, მთაგრმნ.) და დონში, მხოლოდ სხვა მიზეზით—ჩვენში არ არის ნაციონალური იდეა, ჩვენში არ მოუკიდებია ფეხი ნაციონალური დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას, თუმცა სამხედრო მხრით ჩვენ უფრო ძლიერი ვართ ვიდრე ესტონია, ლიტვა, საქართველო. თითქოს ჩვენ შეგვეძლო უფრო ჩქარა დაგვეცვა ჩვენი დამოუკიდებლობა. ამ იდეის შესაქმნელათ და განსამტკიცებლად როგორც ეხლა არაა არის საჭირო განსაკუთრებული, განსხვავებული სახეობა; მაგ. ბელგია, რომელშიც დიდი უმრავლესობა ფრანგებია, სრულიადაც არ ფიქრობს საფრანგეთთან შეერთებას, არ ფიქრობენ ამაზე არც ფრანგი შვეიცარიელები. ჩვენში ეს სავსებით შესაძლებელია. მით უფრო რომ ჩვენი მცხოვრებლების უმრავლესობა უკრაინელები და ჩერქეზებია. ამ მიმართულებით უნდა სწარმოებდეს ჩვენი მუშაობა მაგრამ ამ მუშაობაში მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, როდესაც ჩვენ შემოვიკრებთ ჩვენს გარშემო არა მარტო ყაზახებს და მთიელებს, არამედ ჩვენში მცხოვრებ სხვა ელემენტებსაც (иногородних) და ამ ცხოვრების შენებას დავიწყებთ ფართე სოციალურ საფუძვლებზე, თანასწორობის პრინციპზე, გარეშე უხეში ბატონობისა მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორეზე. რასაკვირველია, ყაზახებს ამისათვის მოუწევს ბევრის დათმობა, მაგრამ სამაგიეროდ არ დავკარგავთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია წინაალმდეგ შემთხვევაში. ერთხელ და სამუდამოდ ყუბანის მცხოვრებლებმა უნდა შეიგნონ, რომ დენიკინების და ვრანგელების დახმარებით ყაზახები ვერ შეინარჩუნებენ მხარეში უპირატესობას, რომ ყუბანის კეთილდღეობა პრივილეგიებში კი არ მდგომარეობს, არამედ უფლებათა და მოვალეობათა გათანასწორებაში.

რაც შეეხება ვრანგელის ავანტიურას, ჩვენ კატეგორიულათ უნდა გავილაშქროთ მის წინაალმდეგ, ვინაიდან ის როგორც სხვა წინა ასეთის ხასიათის „დაწყებანი“, განწირულნი არიან და ყველა ეს უშედეგობანი გამოწვეული არის, არა ბოლშევიკების ძლიერებით, არამედ თვით ვრანგელის ორგანიზაციის შინაარსში, დაწყების მიზნებში, და „იდეისათვის“ მებრძოლთა შემადგენლობაში; მეორეთ, რომც წარმოვიდგინოთ გამარჯვების შესაძლებლობა, შედეგათ მივიღებთ ისეთ წყობილებას, რომლიდანაც ყველა კეთილ სინდისიერ ადამიანს თმა ყალყზე აუდგება (თვალსაჩინო მაგალითი პატარა სახელმწიფო—უნგრეთია).

ლ. ბიჩი.

*) რედაქციიდგან. გაზ. „ვოლ. გორეცში“ დაიბეჭდა ყუბანის ცნობილი მოღვაწის ლ. ბიჩ ის წერილი ყუბანის საზოგადო მოღვაწეები ადმი. წერილი დიდ ინტერესს წარმოადგენს. ის რაც ახლა ჩვენ მოგ ყავს, წარმოადგენს ლ. ბიჩის წერილის ბოლოს წერილის ბოლოს, რომელიც მეტად საინტერესოა იმით, რომ გამ თქმული აზრები საქართველოს დემოკ ატიამ უკვე გაანალდა. რეალობათ აქცია.

გაზეთ „ისტიკბალში“ დაიბეჭდა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე მყოფ დელეგატის ხაფიზ-მემედ-ბეის წერილები. ავტორი არ მალავს თავის სიმპატიებს ბოლშევიკებისადმი, მაგრამ მის მიერ აწერილმა აზერბაიჯანის ცხოვრები საშინელმა სურათებმა მეტად ცუდი და მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ანატოლიაში. ყრილობის ზოგიერთი დელეგატები ბოლშევიზმისადმი მტრულად განწყობილი დაბრუნდნენ და თურქესტანში და აზერბაიჯანში მომხდარ ამბების შემდეგ მათ იქვე ეპარებათ ბოლშევიკების საყოველთაო განთავისუფლებისათვის ბრძოლის სიწრფელეში და ინტერნაციონალიზმში.

თურქები, უმრავლესობა ძლიერ დააფრთხო ბოლშევიკების ცდებმა ხალიფატის დამხობისკენ. თურქები ხალიფატს იმ ცენტრათ თვლიან, რომლის გარშემო იკრიბება მთელი ქვეყნის მუსლიმანობა.

ამ აზრს იზიარებენ ყველა მიმდინარეობანი, ზოგიერთი ანატოლიელი კომუნისტებიც კი, რომლებიც დასაშვებლად და აუცილებლად თვლიან ოსმალეთის თანამედროვე პირობებში ხალიფატის და საბჭოთა წყობილების შეგუებას.

რაც შეეხება სამხედრო მდგომარეობას ანატოლიაში, დასავლეთის ფრონტზე ბერძნების და კონსტანსტანტინოპოლის მთავრობის ჯარების წინაალმდეგ მოქმედობენ ჩეთნიკები, რომლებიც თუმცა ქემალ ფაშას სარდლობის ქვეშ ითვლებიან, მაგრამ ისინი თითქ ის დამოუკიდებლათ მოქმედობენ. მათ ხელმძღვანე ი არის ვინმე ედგემ-ბეი, ტომით ჩერქეზი. ედგემ-ბეის ექვემდებარება აგრეთვე რუსეთიდან თურქ-ტყვეებიდან შემდგარი როტა.

ანატოლიაში ცხოვრება მეტად მძიმეა, არ იშოვნება სამკურნლო იარაღები, მედიკამენტები, მანუფაქტურა და სხვ.

### ანატოლიის მთავრობის შემადგენლობა.

მთავრობის თავმჯდომარე, იგივე მთავარსარდალი—მუსტაფა-ქემალ-ფაშა.

გარეშე საქმეთა მინისტრი—ბეგირ სემი-ბეი.

შინაგან საქმეთა მინისტრი—რიფაატ-ბეი.

სახალხო განათლების მინისტრი—რიზა ფერიდ-ბეი.

სამხედრო მინისტრი—ფევზი ფაშა.

გენერალური შტაბის უფროსი—ისმეტ ბეი.

საზოგადო სამუშაობის განყ. გამგე—ისმაილ ფაზილ-ფაშა.

აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი—კარა ბექირ-ფაშა.



## ბამურელიძის ცირკი.

პარასკევს 5 ნოემბერს
დიდი წარმოდგენა
განსაკუთრებული №№
ჭიდაობს 3 წყვილი.
1. გენჯა ალი—მუშის წინაალმდეგ.
2. წითელი ნიღაბი—ტომსაერის წინაალმ.
3. მაკაროვი—ემელიანოვის წინაალმ.

ანონსი! ამ დღეებში გაიმართება თბილისელ კინტოს ბ-ნ
ლევანსკის ბენეფისი.

სტამბა: ელექტრო მბეჭდავი სტამბა ხ. ჰ. შაქევსკისა. მ. ხიილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.